ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13. 13223576**
თარიღი:**23/12/2022**

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების მე-2 მუხლის მე-4 პუქნტის შესაბამისად,

1. მოწონებულ იქნას ახალციხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, 2023 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებები დანართის შესაბაბისად.

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ.ახალციხე, მებაღიშვილის ქ.#60ა.)

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი 1

N	რეგიონი	მუნიციპალიტეტი	2023 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება	კატეგორია	სავარაუდო ღირებულება
1	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	ქ. ახალციხეში ყაზბეგის ქუჩის (L=0.476 კმ) რეაბილიტაცია	გზა	455 000
2	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	სოფელ ურაველში ჯვარიძეების უბანში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	გზა	279 640
3	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	სოფელ ურაველში ეკლესიის უბანში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	გზა	119 660
4	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	ქ. ახალციხეში ყაზბეგის ქუჩაზე მილხიდის მოწყობა	ხიდი	431 000
5	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ სვირის სასმელი წყალის მაგისტრალური მილსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები	სასმელი წყალი	621 536

საკრებულოს თავმჯდომარე- დავით ლომიძე